წ ი ნ ა რ ე ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

უძრავი ქონების ნასყიდობაზე

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქ.თბილისში 2019 წლის 22 აპრილს შემდეგ მხარეებს შორის:

1. [redacted] იურიდიული მისამართი: [redacted] წარმოდგენილი მისი [redacted] (პ/ნ [redacted] სახით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „**გამყიდველი**";

2. [redacted]; მისამართი: [redacted], რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „**მყიდველი**";

წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში „ხელშეკრულებად" წოდებული) ხელმოწერით მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

- გამყიდველმა ყიდის, ხოლო მყიდველმა ყიდულობს გამყიდველის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც შემდგომში მოიხსენიება, როგორც **"ნასყიდობის საგანი"**;
  - ნასყიდობის საგანს წარმოადგენს მშენებარე კორპუსში, მდებარე: თბილისი, ვარკეთილის ზემო პლატო, თრიალეთის ქუჩა, მრავალსართულიანი კორპუსის საკადასტრო კოდი: 01.19.20.005.042 **მე-3** სართულზე არსებული **74,0 კვ.მ** ფართი, საკადასტრო კოდი: N 01.19.20.005.042.01.01.035 შემდეგ მდგომარეობაში:
  - ჩართული საკომუნიკაციო ქსელები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ბუნებრივი აირი, მრიცხველების გარეშე);
  - ბინის გარე პერიმეტრზე მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები მინაპაკეტით;
  - ბინის რკინის კარები;
  - შიდა ტიხრები;

3. ნასყიდობის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის გამყიდველს, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან: მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.19.20.005.042; განაცხადის რეგისტრაციის № 882017323762 მომზადების თარიღი 25.04.2017;

4. ნასყიდობის საგანის ღირებულება შეადგენს: 35 520,0 (ოცდათხუთმეტიათასხუთასოცი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

5. მხარეები ადასტურებენ, რომ მყიდველი გამყიდველს გადასცემს ნასყიდობის საგნის ღირებულების ნაწილს 8 520,0 (რვაათასხუთასოცი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, არაუგვიანეს 2019 წლის 22 აპრილს.

6. მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველმა დარჩენილი თანხის ნაწილი 12 000,0 (თორმეტიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდა უნდა მოახდინოს შემდეგი გრაფიკით:

   - 24 თვის განმავლობაში, 2019 წლის 15 ივნისიდან, 2021 წლის 15 მაისის ჩათვლით, ყოველთვიური გადახდებით მინიმუმ 500,0 (ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით, ყოველი თვის 15 რიცხვში.
   - დარჩენილი თანხა 15 000,0 (თხუთმეტიათასი) აშშ დოლარის გადახდა უნდა მოახდინოს არაუგვიანეს 2021 წლის 15 ივნისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა საბ
ბრის ეროვნული
ბიბლიოთეკა №451
ხელმოწერა ....

იმ შემთხვევაში თუ მყიდველი დაარღვევს ხელშეკრულების მე-6 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდის გრაფიკს, კერძოდ თანხის გადახდის დღეს გადააშორებს 15 დღით, გამყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მყიდველს დაუბრუნოს უკვე გადახდილი თანხა აღნიშნული ფართის გაყიდვის შემდეგ.

გამყიდველი მაქსიმალურად ეხმარება მყიდველს ბანკებთან ურთიერთობის საკითხებში.

7. ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლება გამყიდველიდან მყიდველზე გადადის მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად შესრულების შემდეგ, რაც გამოიხატება ნასყიდობის ღირებულების გამყიდველისათვის სრულად გადახდაში. მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველს ეკრძალება ნასყიდობის საგანით სარგებლობა ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;

8. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს ნასყიდობის საგანი გადასცეს, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე, რაც გამოიხატება ნასყიდობის ღირებულების გამყიდველისათვის მთლიანად გადახდაში, ხოლო მყიდველი ვალდებულია მიიღოს ნასყიდობის საგანი.

9. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი დადასტურების შემდეგ.

10. ამ ხელშეკრულების პირობებს, რომელიც ეხება ფინანსურ ურთიერთობას, მხარეები განიხილავენ მკაცრად კონფიდენციალურად და კისრულობენ ვალდებულებას არ გაამჟღავნონ და არ გასცენ ინფორმაცია მესამე პირზე.

11. ხელშეკრულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხარეების სრული შეთანხმების შედეგია და უპირატესობა ენიჭება მხარეებს შორის მანამდე არსებულ, როგორც წერილობით ისე ზეპირ წინადადებებთან, მოლაპარაკებებთან, განცხადებებთან, ვალდებულებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.

12. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი რეგულირება, მართვა და ინტერპრეტაცია მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული და დარეგულირებული ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები

გამყიდველი

[redacted]

მყიდველი

[redacted]

[redacted]

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის მართვა
ბეჭედი №451
თარიღი 24 ... 2019 წ.
ამოიღო ... ხელმოწერა ....